თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 03

27 მარტი 2024 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 32 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი;**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რუსუდან იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომელი **ნონა გოგატიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M³ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.40 სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M³ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.50 სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

9. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N24 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. გ.ენუქიძე
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ნ.ვაყელიშვილმა** საკრებულოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილ პროექტში კორექტირების შესახებ: კერძოდ, გზების რეაბილიტაციიდან წარმოშობილი ეკონომიების ხარჯზე გაიზარდოს ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების მუხლი 40 000 ლარით.

ნ.ბაჩიაშვილმა დეტალურად განმარტა ალაზნის გამზირის N24-ში ნიაღვარმიმღების მოწყობის აუცილებლობის საკითხი.

ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ იყალთოში განხორციელებულ პროექტის შმდგომ გამოიკვეთა,რომ საჭიროა ცხაურების დამატება და საჭიროება მოითხოვს გამოიყოს დამატებითი თანხები.

დ.ღაღანიძემ ისაუბრა საპროექტო სამუშაოების შესრულებისას არსებულ ხარვეზებზე. აგრეთვე აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევა როცა დაგებული ასფალტის საფარი თავიდან ხდება მოსათხრელი.

ბ.რევაზიშვილმა აგრეთვე ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე რეაბილიტირებულ ქუჩებზე ცხაურების დამატების აუცილებლობაზე.

რ. იმერლიშვილმა დასვა კითხვა ბოჭორიძეების ქუჩაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპით შეირჩა სკვერის მოწყობის ადგილი.

გ.გიგიტელაშვილმაც სოფელ კურდღელაურში არსებულ პრობლემად დაასახელა ცხაურების და წყალგამტარების საკითხი, რისთვისაც საჭიროა თანხების მობილიზება.

საკრებულოს წევრების შეკითხვებზე და მოსაზრებებზე განმარტებები გააკეთა **ნ.ბაჩიაშვილმა.**

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>3. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.გიგიტელაშვილმა** დასვა კითხვა 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის შესახებ და აღნიშნა, რომ პრობლემაა, როცა ნაშთის სახით რჩება მილიონობით თანხა. ასევე მოითხოვა განმარტების გაკეთება ჭარბ შემოსავალთან დაკავშირებით.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21 (ოცდაერთი) წევრმა.

წინააღმდეგი: 01(ერთი) წევრი: გ.გიგიტელაშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 10 (ათი) წევრმა: რ.იმერლიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, ა.კუპატაძემ, ე.გურგენაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ზ,გრიშიკაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ა.მახარიაშვილმა.

<u>4. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.40 სთ-დან - 12.50სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ კვლავ აქტუალურია საკითხი კავკასიონის ქუჩაზე მცხოვრები ბავშვების მე-9 საჯარო სკოლამდე ტრანსპორტირების საკითხი.

რ.იმერლიშვილმა ისაუბრა ავტობუსებით მგზავრობის დროს წარმოშობილ პრობლემებთნ დაკავშირებით.

ლ.ბერძენაშვილმა დასვა კითხვა თუ როდიდან დაიწყებენ სოფლების მიმათულებით მუნიციპალური ავტობუსები მოძრაობას.

საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე განმარტებები გააკეთა.

ააიპ სატრანსპორტო სამსახურის დირექტორმა ვ.იორდანიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლების მიმართულებით სსაზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობას დაიწყებს უახლოეს მომავალში და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოიკვეთება თუ რა ცვლილებები იქნება განსახორციელებელი.

მოქალაქე **ა.მჭდლიშვილმა** საკრებულოს წევრების წინაშე კვლავ დააყენა საკითხი მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მარშუტების სრულყოფისათვის შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობის შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04 (ოთხი) წევრმა: ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, ა.კუპატაძემ, ბ.რევაზიშვილმა.

<u>5. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი

12.50 სთ-დან - 13.00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>6. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>7. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>8. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>9. მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **რ.ჩეკურიშვილმა** ისაუბრა სოფელ ფშაველში 2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე არ დასრულებულა და რაც შესრულებულია უხარისხოდ.

ლ.ბერძენაშვილმა დასვა კითხვა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესყიდვების ფორმასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა **ნ.ბაჩიაშვილმა.**

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის მომხსენებელი საკრებულოს სხდომაზე არ გამოცხადდა, **თავმჯდომარემ** საკრებულოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი პროექტის განხილვიდდან მოხსნის შესახებ. აღიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე **საკრებულოს ყველა წევრმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი